საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 11 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ... 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნეს არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის" რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში შესვლა მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 74

ტელეფონი 16—62.

№ 7 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 7

გურიის სახალხო გვარდიის შტაბი და ამხ. გვარდიელები გულდაწყვეტით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ სომხეთთან ბრძოლაში „ბოლნის ხაჩინთან" გმირულად დაიღუპნენ შემდეგი გურული გვარდიელები:

**ლადიკო თავაძე, ხანდრო შავიშვილი, ხალამპრე ჩხაიძე, ილია მგელაძე, ვასილ ბალათურია, შალვა ხულაბერიძე და ივანე ძიძიგური**

რომლებიც წასვენებულ იქნენ სამშობლოში.

---

მწუხარებაში მყოფნი: შვილები კატო სარალიძისა, დარიკო გადაბაძისა, აგრაფინა თავაძისა, სალე აროშიძისა, სიძეები: დათიკო სარალიძე, სოლომონ თავაძე (ობოლი მუშა), სევერიანე აროშიძე, შვილისშვილები: ილუშა სარალიძე, ლუტუშა თავაძე, ბუხუტი აროშიძე, და: მენაკე წილოსანისა, დისშვილები: სოლომონ წილოსანი და პოლინე თავდგირიძისა, მაზლის შვილები: მისე. კოწია და თეოფილე ჭელიძეები ოჯახობით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობრებს, რომ 6 იანვარს (ახ. სტ.) ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

## ალათი ლოლუას ასული ჭელიძისა

რომლის გამოთხოვების დღე არის დანიშნული შაბათს 11 იანვარს. ცხედარს გაასვენებენ ველიამინოვის ქუჩიდან № 12, კუკიის სასაფლაოზე თორმეტ საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. ველიამინოვის ქუჩა № 12, ბინა 7.

(3—2)

---

ქალაქ თბილისის დამცველი რაზმის უფროსი ამხანაგი და რაზმის ოფიცრები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 7 იანვარს რამოდენიმე დღის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი ცხენოსან ასეულის უფროსი

## დანიელ კვერკველია

პანაშვიდი ყოველ დღე საათის 6 ზე ქაშვეთის ეკლესიაში, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 12 იანვარს დიდუბის ეკლესიის გალავანში 9 საათზე.

---

ოთხშაბათს, 8 იანვარს, 3 საათზე გარდაიცვალა ბრძოლის ველზე დაჭრილი

## მიხეილ ვასილის ძე გომელაური

რასაც ღრმისის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე ქეთევანი, მამა ვასილი და დედა ნატალია გომელაურისა. პანაშვიდები ყოველ დღე 5 საათზედ. გამოსვენება კვირას, 12 იანვარს, 9 საათზედ (ჩარსკაია შესახვევი, სახლი № 9) წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

---

სიმამრი გიორგი, სიდედრი თებრო, ცოლისდა ნინა და ცოლის ძმა კოლია მახარობლიშვილები და დეიდა ლიზა დუჩიძე ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

## მიხეილ გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას (2—1)

---

ბებია მარიამი რცხილაძისა, დეიდები: ეფა მაკურაძისა, ლიზა ბახუტაშვილისა. თებრო ცუკალაშვილისა, თამარა რამაზაშვილისა და დარო გაშხვატელაშვილისა, დეიდაშვილები: მარიამი დიდმელაშვილისა, ნასტა მაკურაძე და თამარა ცუკაშვილი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

## მიხეილ გომელაურის

უდროოდ გარდაცვალებას (2—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი ივანე გაბრიელის ძე ლაფერიშვილი, ბარბარე და გაბრიელ, სოლომონ და გიორგი ლაფერიშვილები, ნინო და ალექსი გიუნაშვილები და სალომე მახარაძისა ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორეთა ძვირფასი რძალი, ხოლო მესამეთა დაუვიწყარი ქალი

## თამარ ალექსის ასული ლაფერიშვილისა

პანაშვიდები იანვრის 10-სა და 11 საღამოს ექვს საათზე, გამოსვენება კვირას, 12 იანვარს, დილის 10 საათზე ანჩის ხატის ტაძარში. სოლოლაკის ქ. № 8.

---

ნუგეშ დაკარგულნი, მუდამ მგლოვიარე მშობლები: ქეთო და ნესტორ, ბებია სალომე, დები: ფატუშა. ნუცა, ლიზიკო და ლიდია, ძმები: დათიკო, მიხაკო და ილია, რძლები: ვასილა, პლატონიდა და ილია, ძმისწულები: სოლომონ, ნესტორ, გალერიან, ნარგიზა და ქეთო ელიაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 იანვარს, კვირას, ქ. ოზურგეთში ს. ექადიის სასაფლაოზე დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ოქახის სიამაყისა და მშვენების, უდროვოთ დაღუპულის შტაბს კაპიტანის

## შალიკო ელიაძის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც გმირულად დაეცა ახალ ათონში ბოლშევიკთა ბრბოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბარბალე, დედა ელისაბედ და ძმა ვლადიმირი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი სახ. გვარდიელის

## მამანტი თედორეს ძე ცომაიასას

რომელიც უეცრივ გარდაიცვალა 7 იანვარს. დასაფლავება მოხდება 12 იანვარს სოფ. ქვათანაში (სამეგრელო) წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

---

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ელენე სიმონის ასული კალანდაძისა, დედა ნინო, შვილები: შურა და ქენია, ბიძაშვილები: მელიტონ, თეოფილე, იაშა, ანდრო, ფილიპე, ჟუჟანა, კაპიტონ, ვიქტორ, ილია და გაბრიელ კალანდაძენი თავიანთი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

## სიმონ ილარიონის ძე კალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია დღით შაბათს 11 იანვ.

---

# არჩევნები ყუბანის რესპუბლიკაში

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი აქვს იმ ამბებს, რომელიც მოხდა უკანასკნელ ხანს ყუბანის რესპუბლიკაში. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ სახელმწიფოში არსებობს ორი პოლიტიკური ძალა წოქმედებდა: 1) ადგილობრივი მთავრობა, „ყუბანის რადა", რომელსაც სათავეში უდგა ჩვენში კარგად ცნობილი ლ. ბიჩი, ქ. მაქოპის ყოფილი ქალაქის თავი; 2) სამხედრო მთავრობა, რომელიც დაყრდნობილი იყო ნიკოლოზ მეორის ჯარის მთავარსარდლის ალექსეევის მიერ შექმნილ „მოხალისეთა არმიაზე" და რომელსაც სათავეში უდგანან ძველი რეჟიმის გენერლები დენიკინი, პოკროვსკი, დრაგომიროვი და სხვა.

რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ამ ორი ძალის მიმართება შეუძლებელი უნდა გამხდარიყო: ორი სახელმწიფო ვერ მოთავსდებოდა ერთს სახელმწიფოებრივს ორგანიზმში; ან ერთი უნდა გამხდარიყო ნამდვილ სახელმწიფოთ, ან მეორე; უამისოთ ამ ორ მოქიშპე და ახვა და სხვა მიმართულების ძალთა შორის მუდამ აუცილებელს შეხლა შემოხლას და ერთმანეთის დასუსტებას უნდა ჰქონოდა ადგილი.

ის ცნობა, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო დაბეჭდილი ყუბანის რესპუბლიკის შესახებ, იმის მაუწყებელია, რომ მეტოქეობა ყუბანის რადასა და დენიკინის არმიას შორის გადაწყვეტილა ხალხის მიერ ახალი რადის და ჯარის უფროსის (ატამანის) არჩევით. დენიკინის პარტია ამ არჩევნებიდან მთლად დამარცხებულა და გამარჯვებული გამოსულა უფრო მემარცხენე და უფრო დემოკრატიული ყუბანის რადის პარტია. რადის პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ აურჩევიათ იგივე ბიჩი, ატამანათ კი ფილიმონოვი; მემარჯვენეთა კანდიდატები გაუშავებიათ. მართალია, ბიჩიც არ აირჩიეს ატამანათ, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ატამანათ ყაზახების წესით უთუოდ უნდა სამხედრო პირი იყოს. ახალი სამხედრო შტაბის მიმართულების მაჩვენებელი ის ფაქტიც არის, რომ გ. შულგინის გავლენას იქ ბოლო მოეღება.

ამნაირათ, ყუბანის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სახე უკვე ირკვევა: სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელიც ალექსეევ-დენიკინის „მოხალისეთა არმიაზე" იყო დაყრდნობილი, უნდა ალაგი დაუთმოს ხალხის ნდობით აღჭურვილს მთავრობას. დენიკინის არმია ან უნდა დაემორჩილოს ყუბანის რესპუბლიკის ახალ მთავრობას, ან უნდა გადაბარგდეს იქ, სადაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია უფრო შეეფერება მის რეაქციონურ პოლიტიკურ იდეალებს, მაგ. დონის სახელმწიფოში.

ყუბანის რესპუბლიკაში ისეთი წესები მოეწყო, რომლის მომხრეც იყო ყუბანის რადა, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისთვის. ყუბანის რადასა და ჩვენს მთავრობას შორის მუდამ კეთილი განწყობილება იყო. ყუბანის რადა ჩვენს მთავრობას შეუთანხმდა კიდეც საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხში, იგი მზათ იყო ჩვენს რესპუბლიკაში შემოეტანა საკმაო პური. ყველა ამას წინ ეღობებოდა მხოლოდ „მოხალისეთა არმია", რომელიც ყუბანის რადის პოლიტიკას აბათილებდა, ყუბანსა და საქართველოს შუაში ჩამდგარიყო და ხელს უშლიდა მათ შორის მეგობრობის ჩამოგდებას.

„მოხალისეთა არმიის" პარტიის დამარცხებით, იმედია, ჩვენს შორის კეთილ მეზობლობის დამყარებას აღარაფერი დაუდგება წინ. ამით ორივე რესპუბლიკა მხოლოდ მოიგებს, რადგან მტრული განწყობილება დენიკინის არმიისა საქართველოს რესპუბლიკისადმი ამ უკანასკნელს აიძულებს მუდამ ფრთხილათ იყოს და მუდამ საკმაო ძალა ჰქონდეს მიმართული ჩრდილოეთისაკენ,—ეს კი, რასაკვირველია, სახელმწიფოსაგან დიდს ხარჯს იწვევს და ასუსტებს მას. მეგობრული ურთიერთობა გამოიწვევს საქონლის თავისუფალს გაცვლა-გამოცვლას, რაც შესამჩნევათ შეასუსტებს იმ სასურსათო კრიზისს, რომელსაც ორივე სახელმწიფო განიცდის. ამიტომ ვისურვოთ, რომ ყუბანის ახალი რადა და მისი მთავრობა გარკვეულათ დამდგარიყოს დემოკრატიულ გზაზე, გულწრფელათ ეთქვას უარი დაპყრობით პოლიტიკაზე და სამუდამოთ განთავისუფლებულიყოს „მოხალისეთა არმიის" გავლენისაგან.

---

# ქალაქის არჩევნებისათვის

ქალაქის მომავალმა არჩევნებმა დიდი ყურადღება მიიპყრო ყველა საზოგადოებრივ, წრეების და ჯგუფებას, რაც სრულიად ბუნებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ, ამ საკითხის გარშემო ისეთი დავიდარაბა და შეუფერებელი კამათი ატყდა, რომ შეუძლებელია მისი უყურადღებოთ დატოვება.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი პრესა და საზოგადოება ორ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფათ გაიყო: ერთი სდგას დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობის საფუძველზე, ხოლო მეორეს ასულდგმულებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დანგრევის სურვილი. და ვინ გინდათ, რომ ამ მეორე ბანაკში არ იყოს მოკალათებული: ზომიერი, ხისტიკ კანონიერების გზაზე მდგომი კადეტები და უკიდურესი „მემარცხენე" სოციალისტ-რევოლიუციონერები, „ჭეშმარიტი" ინტერნაციონალისტები არშაკ ზურაბოვის და ფირუმოვის ტიპისა და ალვირ-წახსნილი შოვინისტი დაშნაკელები, უბრალო ყოფილი მოხელენი და თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი—ყველანი ერთი ენით და კილოთი აპხედრდნენ ქალაქის ახალ დებულების წინააღმდეგ, რომ საქალაქო არჩევნები მოხდეს არა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონით, არამედ იმ დებულებით, რომელიც რუსეთის დროებითმა მთავრობამ შეიმუშავა.

მაგრამ ჩვენმა პარლამენტმა ხომ უცვლელათ გადმოიტანა დროებით მთავრობის დებულებიდან მთელი მისი დემოკრატიული შინაარსი? და, მიუხედავათ ამისა, მაინც გვედავებიან და ათასგვარ ცოდვაში გვდებენ ბრალს. ამ სხვადასხვა ჯურის მოწინააღმდეგეთა აზრები, შეიძლება ითქვას, კლასიკურათ გამოხატა „ტიფლისკი ლისტოკმა", რომელმაც ამ საკითხს მეთაური წერილი უძღვნა.

„ლისტოკი", როგორც ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეთ სჩვევიათ, უღირსი დემაგოგიით იწყებს წერილს. ის სწერს, თითქოს „მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენლებს სურდეთ ეს არჩევნები გამოიყენონ წმინდა ნაციონალისტურ ზრახვათა განსახორციელებლათ", თუმცა კარგათ იცის, რომ ჩვენ გვყავს ერთი მთლიანი მთავრობა, რომელიც პასუხს აგებს თითეულ წევრის მოქმედებაში და პირიქით მთავრობის ყოველი წევრი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მთავრობისაგან აქვს დავალებული.

„ლისტოკი" ამით არ კმაყოფილდება და საქართველოს პასუხისმგებელ პარტიებს მიაწერს სურვილს, თითქოს ისინი ცდილობდენ, რომ თფილისი გადაიქცეს ნამდვილ ქართულ ქალაქათ. მაგრამ ის კარგათ ხედავს, რომ აშკარა სიყალბეს ამბობს ამით, რადგან იცის, რომ ჩვენი საქალაქო დებულება აგებულია არა ეროვნულ, არამედ სახელმწიფოებრივ პრინციპზე და საარჩევნო უფლება ეძლევა საქართველოს ყოველ მოქალაქეს განურჩევლათ ეროვნებისა. ეს გარემოება იძულებულია აღნიშნოს თვით „ლისტოკმა", რომელიც საზოგადოთ არ არის იმის წინააღმდეგი, რომ „მხოლოდ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ საარჩევნო და ყოველგვარ სხვა პოლიტიკურ უფლებებით იმ სახელმწიფოში, რომელიც თვითგამორკვევის გზას დადგა, მაგრამ საქართველოსთვის ეს პრინციპი მიუღებლათ მიაჩნია „ლისტოკს".

რად?

მოვუსმინოთ თვით „ლისტოკს".

„ამ ჟამათ, როცა უცვლაფერი დუღს და გადმოდის, ქალაქის არჩევნებში უკუგდებულ უნდა იქნეს პრინციპი ქვეშევრდომობისა" და, „თფილისში მცხოვრებმა ყველა ჯგუფებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ არჩევნებში", მიუხედავათ იმისა, არიან ისინი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, თუ სხვა რომელიმე ქვეყნის ქვეშევრდომები.

ამას მოითხოვს თურმე, როგორც საერთოთ მთელი სახელმწიფოს, ისე კერძოთ ქალაქ თფილისის ინტერესები; ამით თურმე ჩვენ გაუძლიერებთ საქართველოს ქვეშევრდომათ გახდომის სურვილს იმ პირებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევიათ თუ ვისკენაა მათი სიმპატია-ანტიპატია.

და რომ მეტი ამაურდი მასალები გახადოს, „ლისტოკი" ამტკიცებს, თითქოს ქალაქის თვითმართველობა მხოლოდ ადგილობრივი სამეურნეო ერთეული იყოს და არა დემოკრატიულ მთავრობის მართველობის ადგილობრივი ორგანო.

ჩვენი დემოკრატია, განურჩევლად ეროვნობისა, ერთგვარათ შეაქცევს ზურგს „ლისტოკის" და მის მოძმეთა ანტი-დემოკრატიულ და ანტი-სახელმწიფოებრივ მოსაზრებას, რადგან მათი რჩევა უკუღმა აშენდეს საქართველოს დემოკრატიული წყობილება: მისი შენების უფლება უნდა მიეცეს ყველას იმათ, ვისაც ჯერ არც კი გამოურკვევია, თუ საით კენაა მისი სიმპატია-ანტიპატია.

ასეთ დამღუპველ ექსპერიმენტებისთვის საქართველო ვერ გამოდგება.

---

# პრესა

„ჟოღოვორთი ძაინ",—ორგანო სომხის სახალხო პარტიისა, ჩვენს პარტიას აბრალებს შოვინიზმს. ის სწერს:

..„მაგრამ, რას ვხედავთ დღეს, იმ დღიდან, როცა დაიშალა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიის საერთო ორგანიზაცია და დამყარდა საქართველოს განსაკუთრებული სოციალ-დემოკრატიული პარტია, დღითი დღე ძლიერდება ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში უაღრესად შოვინისტური მიმდინარეობა. ამ ბოლო დროს სოციალ-დემოკრატიის ოფიციალურ ორგანოების, პოლიტიკურ გაზეთების და პასუხისმგებელ მოღვაწეების მიერ ნათქვამი, განცხადებანი და პოლიტიკური ნაბიჯები არც ერთ ეჭვს არ გვიტოვებენ, რომ ეს პარტია ქართული შოვინიზმის ხელში იარაღათ გამხდარა.

„სამწუხაროდ ახლა ეს პარტია, როგორც დაშნაკელების პარტია, წარმოადგენს სხვადასხვა და ერთმანეთის საწინააღმდეგო ელემენტების ნარევს; დღეს მის პოლიტიკას აწარმოებს არა თუ გეგეჭკორის მშვიდობიანი და ზომიერი მიმდინარეობა, არამედ —ჩხენკელის უაღრესი შოვინისტური ჯგუფი. რომ ეს ასე არა ყოფილიყო, ძნელათ თუ სოციალ-დემოკრატიული მთავრობას ისე სწრაფათ მიეღო საარჩევნო აღწერა იმისთანა ფორმალური პირობებით, რომლის შედეგი უნდა იყოს სომეხ მოსახლეობის სრული განცალკევება და ძნელათ თუ ზავის დამტკიცების შემდეგ „ბორბა" და „ერთობა" გააგრძელებდნენ თავიანთ თავდასხმულთ წერილების ბეჭდვას სომხეთის მთავრობაზე".

მკითხველი ხედავს, რომ „ჟოღოვორთ ძაინ" სრულიად არ იცნობს საქართველოს სოც.-დემოკრატიის შინაგან წყობილებას, არ ესმის, რომ არავითარი ჯგუფები ეგ. გეგეჭკორის, თუ ჩხენკელის მიმდევრებისა, მასში არ არსებობს, რომ პოლიტიკა ს.-დ. არის მთლიანი მუშაობა დემოკრატიის კლასობრივ პრინციპზე აგებული.

მაგრამ ბოლო სიტყვები აშკარავებენ ამ გაზეთის გულისტკივილს: არჩევნების მოწყობა ასე ნაჩქარევათ,—აი რა არ მოსწონს გაზეთს.

ტყუილათ ჰგონია გაზეთს, თითქოს ამ საკითხში „მშვიდობიანობის მოყვარე" ე. გეგეჭკორი სხვა აზრის იყოს და დანარჩენები

# დღეს

სამამულიანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენელი ინგლისელმა გენ. გუბერნატორმა თანაგრძნობით მიიღო და აღუთქვა მთელ ბათუმის ოლქში საპასუხისმგებლო ადგილებზე და საერთოდ ადმინისტრაციაში დანიშნავს ხალხის მიერ ნდობით აღჭურვილ პირებს.

საფრანგეთის ნაღმოსანი „მიჩმან ჰენრიე", შავ ზღვაზე ნაღმმა დააზიანა. 3 ფრანგი მეზღვაური დაიღუპა, მეოთხე ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

გუშინ ტფილისის რადიო სადგურმა ვრცელი ცნობები მიიღო ბერლინში 8 იანვარს მომხდარი შეტაკების შესახებ. მსხვერპლი დიდი ყოფილა.

ბოლშევიკების ცნობით 8 იანვარს სპარტაკელების შეიარაღებული გამოსვლის და სისხლის ღვრის შემდეგ ბერლინში მდგომარეობა გამოურკვეველია.

სხვა აზრის. ყველა იმ აზრისაა, რომ, როცა საბჭოს ვადა გაუვიდის, ახალი არჩევნები უნდა იქნეს დანიშნული. ხოლო, რომ ამ დროისთვის სომხეთის დაშნაკელებმა ომი დაგვიწყეს და მით აქაური სომხებსაც საქმე გაუფუჭეს, ეს უნდა დაშნაკელებს დაედვას ბრალად და არა საქართველოს ს. დემოკრატიას.

სომხის ლიბერალებთ კი, პირიქით, ჩვენ გვიკიჟინებენ—დაშნაკელებს რათ ებრძვითო. მაშ, განა უნდა შუბლი დაგვეკოცნათ იმისთვის, რომ ომი გამოგვიცხადეს? ლიბერალი სომხები კი დიდი გულისმოკივნეულობით ეპყრობიან დაშნაკელებს. მათ აერთებს ამ პარტიასთან ერთი მისწრაფება: ეს არის სურვილი ერის ერზე დაპირდაპირებისა. დაშნაკელებმა ამ მხრივ ბევრი გააკეთეს და „ქუდოვორთი ძმის"-ს სურს ამ „ნაშრომზე" ხელი მოითბოს.

## ორი პოლიტიკა

3, 4, 5 იანვარი ჩაითვლება ჩვენი პარლამენტის დიდ პარლამენტარულ დღეებათ.

ეს იყო ისტორიული სხდომა. ამ სხდომამ აშკარად გამოხატა ორი ერთი მეორის ძირითად საწინააღმდეგო მიმართულება საგარეო პოლიტიკაში.

მიუხედავათ იმისა, რომ ქართველ სომეხთა შეტაკების დროს ჩვენ პარლამენტში არსებობდა საერთო ერთსულოვნება, ერთსულოვნობა განურჩევლად პარტიებისა, მაგრამ საკმარისი იყო ამ ომში გამარჯვებულ ჩვენ მთავრობას შეეჩერებინა პირველი სამხედრო მოქმედებანი, რომ პარლამენტში ატეხილიყო მწვავე კამათი, აზრთა დიდი შეჯახება.

კამათმა ცხადჰყო ორი პოლიტიკა. ერთი—მემარჯვენეთა კედია-ვეშაპელების—პოლიტიკა ფეოდალურ კაცუჭამლობის, შურისძიებისა, მეორე—სოციალისტთა—პოლიტიკა დემოკრატია—ინტერნაციონალისა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. ვიდრე წარმოიბდა ომი, მემარჯვენეები გვერდში ედგნენ სოციალისტებს და მისდევდენ მათ იმდენათ, რამდენად ამ ომში იგინი გულისხმობდნენ ბრძოლას მთელ სომხის ერთან. სოციალისტების პოლიტიკა კი ამ ომში მიმართული იყო სავსებით სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ, მისი სულის ჩამდგმელ დაშნაკცაკანების პარტიისა.

სოციალისტების ლოზუნგი იყო—დაშნაკცაკანთა დარღვევა აგრესიულ შოვინისტურ პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ. ამ მიზანს ჩვენმა მთავრობამ კიდევაც მიაღწია.

კედია-ვეშაპელების ლოზუნგი იყო—„დაჰკათ სომხებს".

სომეხთა ამოჟლეტას კი მათ ვერ მიაწვიეს: ჩვენმა მთავრობამ შეუშალა ხელი.

როგორც ვხედავთ, ჩვენი პარლამენტის ორი პოლიტიკური მიმართულება საგარეო საქმეში იცავდა ორი სხვადასხვა მიზანს, ორი პოლიტიკას. საკმარისი იყო ერთი პოლიტიკა, სოციალისტების, გადალომებოდა წინ მეორეს—მემარჯვენეთა შოვინისტურ პოლიტიკას, რომ ატეხილიყო პარლამენტში მკაცრი შებრძოლება.

ამ შებრძოლებაში სასტიკათ დამარცხდა შოვინისტური პოლიტიკა. სხვაფრივ არც მოხდებოდა.

ასე მოხდება მომავალშიაც, მანამ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში იდგება დემოკრატიული სოციალისტური მთავრობა რომელიც ვერასოდეს ვერ გაიზიარებს შოვინისტურ-ნაციონალისტური პოლიტიკას, როგორც შინაგან ისე საგარეო საქმეებში.

სოციალისტების, დემოკრატიის პროგრამა მოქმედებისა ნაციონალურ კითხვაში გამომხატველია ძმური კავშირის, კეთილგანწყობილების ყველა ერებთან. ამ ინტერნაციონალურ პოლიტიკას 3, 4, 5 იანვარს პარლამენტში დაუპირდაპირდა პოლიტიკა ზოოლოგიური პატრიოტიზმისა კედია-ვეშაპელებისა, რომელნიც ვერასოდეს ვერ გაიგებენ, ვერ შეურიგდებიან სოციალისტ-დემოკრატიულ პოლიტიკას.

იგინი ვერასოდეს ვერ შეითვისებენ იმ მარტივ დებულებას, რომელიც გამოსთქვა ერთ დროს ცნობილმა რუს ფილოსოფოსმა ვლადიმირ სოლოვიოვმა თავის დიდ შრომაში ნაციონალურ კითხვის შესახებ.

მორალი ინდივიდუალური და მორალი ნაციონალური, სთქვა მან, სამწუხაროთ მეტად განსხვავდებიან საზოგადოების თვალში, მაშინ, როდესაც ერთი და იგივეა არსებითაო. თუ ჩვენ მიგვაჩნია ცოდვათ, დანაშაულათ, შეუწყნარებლათ, როცა ერთი პიროვნება აყენებს მეორეს ვნებას, განადგურებას, დაღუპვას მაშინაც კი, როდესაც თვით მისი ინტერესიც არ მოითხოვს, მით უფრო დანაშაულათ ჩასათვლელია, აღმაშფოთებელი, როცა ერთი ერი მეორე ერს დაუპირებს შეურაცყოფას, განადგურებასო.

არ უნდა მოინდომო შენ მეზობელ ერისათვის ის, რასაც არ მოუსურვებ შენ საკუთარ ერსო.

კედია-ვეშაპელების ნაციონალური მრწამსი კი გამოიხატება სრულიად ამის წინააღმდეგობაში.

ამათ (კედია-ვეშაპელებს) მიაჩნიათ ერთლირებულებათ თავის ერის ავიც და კარგიც მაშინ, როდესაც სხვა ერის სიკარგესაც მათ თვალში არავითარი ფასი არა აქვს. აქედან—მუდმივ სიძულვილი, უნდობლობა მეზობელ ერისადმი. ამ გრძნობაზე შენდება აგრესიულ შოვინისტური პოლიტიკა.

ასეთი ზოოლოგიური პატრიოტიზმი შედარება იმ უხეში ინდივიდუალურ ეგოიზმს, ზომას გადაცილებულ თავის მოყვარეობას, „რომელიც სრულიათ ამახინჯებს", როგორც ამტკიცებს ინგლისის ფილოსოფოსი ჰერბერტი სპენსერი, „ადამიანის, როგორც თავის თავზე ისე სხვებზე წარმოდგენას და აქედან აკეთებინებს შემცდარ დასკვნას ადამიანის ბუნების და მოქმედების შესახებ *)". ამგვარი შეხედულების ადამიანი, ამბობს იგივე სპენსერი, მოკლებულია იმ ზომიერ გრძნობას, რაც აუცილებელია სოციალურ მოვლენათა მეცნიერულად შესწავლისათვის (იქვე 114—115 გვ.) აი სწორედ ამ გრძნობას მოკლებულნი ჩვენი ქართველი დაშნაკელები არას დაგიდევენ გარდა ცაბუნი უბრალო „მამულიშვილური" გრძნობით ანგარიშს არ უწევენ არც საზოგადოებრივი ძალთა განწყობილებას შინაურ საქმეებში, არც საერთაშორისო მდგომარეობას საგარეო პოლიტიკაში. თუთიყუშისავით გაიძახიან: „სამშობლო, სამშობლო ჩემო ლამაზოვო".

მარტო გრძნობით კი, ეს ხომ ვიცით, არასდროს სიკეთე არ გაკეთებულა და არ გაკეთდება, როდესაც საქმე ეხება ერს და მის ბედს. სწორეთ ამ გრძნობის და უკიდურეს სიძულვილის სომხურ ხალხისადმი მიხედვით სწყვეტდნენ ჩვენი ქართველი დაშნაკელები საგარეო პოლიტიკას, როდესაც ჩვენმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა მუხანათურად საქართველოში შემოსეულ მტრებზე დ წელში გადატეხა დაშნაკცუტუნის პოლიტიკა, კედია-ვეშაპელები მიეცნენ ოცნებას: აი დადგა დრო სომხის ერის არარატის ქედზე მიჯაჭვისაო, მაგრამ სოციალისტურმა მთავრობამ თავის ნაბიჯით ერთბაშათ ჩაუკლა გაღვიძებული მადა ქართველ შოვინისტებს.

ეს უკანასკნელნი ასე სვამდნენ კითხვას? ან ჩვენ, ან სომხობა.

ამ თვით ქართველ ხალხისთვის, ჩვენი დემოკრატიისთვის დამღუპველ პოლიტიკას ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ დაუპირდაპირა პოლიტიკა კეთილგანწყობილებისა ამ ორ ერთა შუა. მიმართა ჯერ მშვიდობიან გზას, მხოლოდ, როდესაც სომხეთის დაშნაკცუტიუნის მთავრობამ არ ინება ეს გზა და მოისურვა იარაღით გადაეჭრა სადაო კითხვა, ჩვენმა დემოკრატიამ იძრო ქარქაშიდან ხმალი მოსაგერიებლად და დასამარცხებლად დაშნაკცაკან შოვინისტური პოლიტიკისა.

კიდევაც დაამარცხა. ამ დამარცხებასთან ერთად დამარცხდა ჩვენი შინაური დაშნაკელების პოლიტიკაც.

ამგვარად ჩვენი დემოკრატია გამოვიდა გამარჯვებული არა მარტო გარეშე ფრონტზე, არამედ შინაურ ფრონტზედაც. ინტერნაციონალური პოლიტიკამ უმოწყალოდ დაამარცხა პოლიტიკა შოვინისტური.

ქ. კახელი.

## ჩვენი დელეგაციის გამგზავრება

9 იანვარს ღამით, როგორც მოხსენებული გვქონდა, თფილისიდან ევროპაში გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია.

სადგურზე დელეგაცია გააცილა დიდძალმა საზოგადოებამ. სადგურის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო ჯარის ნაწილი ორკესტრით. ჯარისკაცებს სიტყვითმიმართა დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ.

ქ. ჩხეიძემ თავის სიტყვაში განმარტა, თუ რისთვის მიდის დელეგაცია დასავლეთ ევროპაში, რა მიზანი აქვს ამ წასვლას.

ჩვენ მივდივართ, რომ ვაუწყოთ დასავლეთ ევროპას საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა, ვაუწყოთ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიას ძალა შესწევს საკუთარის ძალღონით უპატრონოს თავს, რომ ეს დემოკრატია არავის თავს არ დააჩაგვრინებს და სხ., მაგრამ, თუ თვით საქართველოში არ იწარმოებს ისეთივე მწყობრი მუშაობა, როგორიც დღემდე სწარმოებდა, უკეთუ ძველებურათ თავგამოდებით არ იქნა დაცული საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან, ჩვენი დელეგაციის მუშაობა ფუჭად ჩაივლის, არავინ ყურადღებას არ მოგვაქცევსო.

თქვენ, საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია, უდექით მკერდით საქართველოს მტრებს, იცავდით ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას და თუ თქვენი მუშაობა შემდეგშიაც ისეთივე იქნება, დელეგაციის მუშაობაც ნაყოფიერი დარჩება, საქართველოს დემოკრატიაც გამარჯვებული გამოვაო.

ორკესტრმა დაუკრა ქართული ჰიმნი, ჯარისკაცებმა და დამსწრე საზოგადოებამ „გაუმარჯოს" ძახილით გააცილა დელეგაცია. შუადამის სწორეთ 11 ს. 30 წ. მატარებელი დაიძრა და ჩვენი დელეგაციაც დასავლეთ ევროპისაკენ გააქანა.

## საქართველო-სომხეთის ომი

დაშნაკური ინფორმაცია.

იმ ხალხის მოღვაწეობას, რომლებიც დაშნაკურ ინფორმაციას აწარმოებს, მიზნად აქვს დასახული ერთის მხრით, ქვეყანას ამცნოს, რომ სომხის ხალხს სდევნიან და სჩაგრავენ, როგორც კავკასიაში, ისე საქართველოში.

მეორეს მხრით,—ასეთი გზით სომხის გაბატონებული კლასები, სომხის შოვინისტები ცდილობენ შეინარჩუნონ ის ბატონობა, რომელიც მათ სომხის ხალხზე ბედმა არგუნა.

როცა, მაგ., დონის როსტოვში გრ. ჩალხუშიანი და კომპანია საქართველოს წინააღმდეგ შხამს ანთხევს, ქართველ ხალხს აბეზღებს რუსეთთან, ბრალს სდებს ქართველობას რუსეთის მოღალატეობაში, ამით დონის ოლქში და საერთოდ რუსეთში მცხოვრები ჩარჩი სომხები თავიანთ საქმეებს აკეთებენ, თავიდან იშორებენ რუსი მშრომელი ხალხის რისხვას.

დაიწყო ომი თუ არა საქართველო სომხეთს შორის, რუსეთშიაც გაჩნდა ცნობები ამ ომის შესახებ ნამდვილი დაშნაკური ინფორმაციისა.

როსტოვის და ნოვოჩერკასკის გაზეთებში, მაგ. ასეთი ცნობებია მოთავსებული, ფოთიდან მიწოდებული, რა თქმა უნდა, საკუთარი კორესპონდენტის მიერ:

„სადახლოსთან, რომელიც 2 საათის სასიარულო გზით არის დაშორებული თფილისზე, სომხებმა 3 ათასი ქართველი ტყვე წაიყვანეს. თფილისში ატეხილი „პანიკაა", დაიწვა რამდენიმე სახლი, ქართველებმა თფილისიდან დაიხიეს და მიხაილოვთან ხიდი დასწვეს...

„მოკავშირეთა ბრძანებით სომხური მოხალისე ჯარები, რომლებიც დასავლეთისა და პალესტინის ფრონტებზე იმყოფებიან, უნდა გადაგზავნილ იქნან სტამბოლში და იქიდან გადაყვანილი სომხეთში. მოკავშირეებმა აღუთქვეს სომხებს საჭირო სამხედრო მასალა...

„ქართველებმა ბათუმში მიმართეს ინგლისელებს და სთხოვეს დახმარება. ინგლისელებმა უპასუხეს, რომ ისინი თავისი მოკავშირის—სომხების წინააღმდეგ არ წავლენ.

„ტიფლისსკი ლისტოკი" იუწყება, რომ სომხური ჯარები თფილისში შევიდნენ"...

ამ შინაარსის ცნობებით ჰკვებავს დაშნაკური ინფორმაცია რუსეთის საზოგადოებრივ აზრს...

## ბათუმში

ბათუმი. 8 იანვარი. (საკ. კორესპ.) 8 იანვარს რუსების ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენლ მასლოვის მეთაურობით შემდგარ საგუბერნიო საბჭოს ნიადაგი თანდათან ეცლება. ინგლისელებმა უკვე გაიგეს ვისთანაც ჰქონიათ საქმე. ეჭვი არ არის ინგლისელები ცდილობენ შემცდარათ გადადგმულ ნაბიჯების გამოსწორებას. ამის ნიშნები უკვე არის. აჭარლების კომიტეტის წარმომადგენელი გენ. გუბერნატორმა ყურადღებით მიიღო.

ბათუმის ოლქის სხვადასხვა კუთხეებიდან წარდგენილი პეტიციები, ადმინისტრატორებათ ადგილობრივი ხალხის მიერ პატივცემულ და ნდობით აღჭურვილ პირების დანიშვნის შესახებ გენერალ-გუბერნატორმა გულდასმით მოისმინა და აღუთქვა პეტიციის დაკმაყოფილება. საგუბერნიო საბჭოს მიერ ოლქში დანიშნული მოხელენი ვერ ბედავენ სამსახურის ადგილებზე წასვლას და უარს ამბობენ. არსებულ გაზეთ „ბათუმს" შეემატა კიდევ ერთი რუსული გაზეთი, რომლის მეოთხე გვერდი ინგლისურ ენაზეა. ცნობილი გერმანი აპირობს თავის რედაქციის გადმოტანას ქუთაისიდან. ამ დღეებში გამოვა ქართული გაზეთი „სამამულიანო საქართველო". (ს. დ. ს.).

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

10 იანვარი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

(გუშინდელი ცნობის გაგრძელება).

აამოქმედეს ტყვიისმფრქვეველი და მალე ქუჩა გასწმინდეს შეამბოხე სპარტაკელებისაგან. ამ ამბების დროს ბერლინის დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა შუამავლობა იკისროს. ამ წინადადებით სახელმწიფო კანცელარიაში მოვიდნენ დიტმანი, ბრეტშტეიდი (?) და კაუცკი, რომლებსაც შემდეგ შეუერთდნენ კოჰნი და ნიურდგაუზენი. მათ წინადადებაზე მთავრობამ უპასუხა, რომ ის, რა თქმა უნდა, მიესალმება ყოველგვარ ცდას აიცდინოს ბრძოლა და სისხლის ღვრა.

იმ დროს, როცა მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა ამ დელეგაციასთან, ქუჩაში სპარტაკელნი უწესოებას ახდენდენ და ცდილობდენ დაეჭირათ სამხედრო სამინისტროს ბინა, გარეკეს რკინის გზის სამმართველოს მოხელენი და გამაგრდენ იქ ტყვიისმფრქვეველებით და ბომბებით, შეეცადენ კიდევ დაეჭირათ სასურსათო საწყობი კოოპენიკერშტრასეზე. ამ გამოსვლებს მთავრობამ უპასუხა დადგენილებით აწარმოვოს მტკიცე თავდაცვა. მთავრობის მტკიცე და სერიოზულმა დადგენილებამ დიდი ძალა მოიმხრო. მთავრობამ დაადგინა დაარსოს ბიურო, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშები ჩაეწერებიან და შეიარაღდებიან ტერორთან საბრძოლველათ. ამ დროს სახელმწიფო სამართველოში მოვიდენ დამოუკიდებელთა საშუამავლო დელეგაციის მიერ მოწვეული ბერლინის მსხვილ საწარმოვოთა წარმომადგენელნი. ეს იყო დაახლოვებით ღამის 1 საათზე. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო შეთანხმება, რადგან მთავრობამ გადაჭრით მოითხოვა ყველა დაჭერილ ადგილების და ბინების დაცლა, როგორც მოლაპარაკების პირველი პირობა. შეთანხმება არ მოხდა. ამ დროს უკვე ღამის 3 საათი იყო. მთავრობამ ხელმეორეთ გაიმეორა განმარტება იხმარონ იარაღი მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი იქნება თავდაცვისათვის. რადგან წარმომადგენლებმაც ანალოგიური განმარტება მისცეს, მშვიდობიანობას მიაღწიეს. თუ შემდეგ როგორ აასრულეს სპარტაკელებმა პირობა, გვაჩვენებს ის ფაქტი, რომ დილის 5 საათზე სპარტაკელთა ბანდამ იერიშით დაიჭირა „ფორვერტსი" და გაანადგურა გაზეთის დაბეჭდილი ეგზემპლიარები.

9 იანვარი. მოლაპარაკება დღის გაგრძელდება. მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ: სახელმწიფოს უმაღლესი მმართველნი, ცენტრალური საბჭო, რევოლიუციის ბელადნი და აგრეთვე დამოუკიდებელთა პარტიის საშუამავლო დელეგაცია. მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მოლაპარაკების დაწყებამდე განთავისუფლებულ იქნას დაჭერილი შენობები. დღეს კიდევ მოხდა მთავრობის მომხრეთა დემონსტრაციები. მთავრობის დასაცავად წარმოთქმული იყო სიტყვები, რომლებსაც ხალხი დიდის აღტაცებით ისმენდა. ოთხშაბათს, 8 იანვარს, მღელვარება მთელ ბერლინში გაძლიერდა. ქუჩებში ბრძოლა გახშირდა. მას შემდეგ, რაც განახლებულ მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო, მთავრობამ ორჯერ ზომა იხმარა წესიერების მომხრეთა შესაკავშირებლათ და მათ შესაიარაღებლათ, რათა სისტემატიურათ და საბოლოოთ გასწმინდოს დიდი ქალაქი სპარტაკელებისაგან. ბრანდენბურგის კარებისა, დიდი ვოგზლებისა, ზოგიერთი ყაზარმების და პოლიციის სამმართველოების დასაჭერად გამეტებით ეცილებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გადამწყვეტ შედეგს საღამომდე ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია.

მთავრობა მტკიცე გადაწყვეტილებით და ენერგიულათ ანხორციელებს ყველა საჭირო ზომებს და თუ საჭირო იქნება არტილერიას და ჰაეროპლანებს მოიხმარს სპარტაკელთა გასარეკათ პოლიციის სამმართველოებიდან, რათა უკანასკნელი დაუბრუნოს მათ კანონიერ პატრონებს.

მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი დიდია. ნამდვილი რიცხვის გამორკვევა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ბერლინში მყოფი უცხოელნი და ნეიტრალ ქვეყნების საელჩოები უვნებლათაა. მთავრობის ჯარები ენერგიულათ იღებენ ყველა ზომებს ბლოკადისთვის. რკინის გზის და ტრამვაის მოძრაობა უმეტეს ნაწილათ ჯერ არ არის აღდგენილი. რკინის გზის მოსამსახურეებმა დაადგინეს მხოლოდ მაშინ განაახლონ მუშაობა, როცა მთავრობის ჯარები უზრუნველყოფენ აღდგენილ ვაგზლებს და მთავარ-სარდლებს. ბერლინის სტუდენტებმა განუცხადეს მთავრობას, რომ ისინი მზათ არიან მის დასაცავათ, მათ შეადგინეს ცალკე სტუდენტთა ლეგიონი, რომელსაც მე-4 გვარდიას შეუერთებენ.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

ტომსკი, მინისტრთა საბჭო იმუშავებს ქალაქის საბჭოთა არჩევნების კანონ პროექტს. პროპორციონალური სისტემა შეცვლილი იქნება უმრავლესობის სისტემით. აქტიური საარჩევნო უფლება ენიჭებათ 25 წლ. უფროსებს, ხოლო პასიური 21 წ. უფროსებს და უპირველად მათ, ვისაც ერთ წელიწადზე მეტი უცხოვრია ადგილობრივ.

რადგანაც შავ ზღვაზე ჯერ კიდევ არის ნაღმები, ნავოსნობა სახიფათოა. შავ ზღვაზე ნაღმოსანი „მიჩმან ჰენრი", რომელსაც ვიცე ადმირალი აგე უფროსობდა, 1 იანვარს ღამე ნაღმმა დააზიანა. ფრანგების 2 გემი, „ბისონი" და „ალდებარტ" და ინგლისელთა 1 გემი „რუბინი" მაშინვე გაემართენ მისაშველებლათ. „მიჩმან ჰენრიმ" შესძლო გზის გაგრძელება. დამხმარე გემებმა იგი მიაცილეს სტამბოლამდე, სადაც მას შეაკეთებენ. აფეთქების გამო ზღვაში გადავარდნილი 3 მეზღვაური დაიღუპა, მეოთხე კი ჭრილობებისაგან გარდაიცვალა.

ბერნიდან იუწყებიან: მას შემდეგ, რაც რუმინელებმა პეტროშენის მაღაროების რაიონი (ტრანსილვანიაში) დაიჭირეს, ქვა-ნახშირის დამუშავება შეჩერდა. გავიდა 2 კვირის ვადა, რომელიც რუმინიის ჯარების მთავარსარდალმა გენერალ ნეკულესმა მისცა ჰუნგრეთის უმაღლეს კომისარს აპატის, ქალაქ კლაუზენბურგის მიდამოების დასაცლელათ. მადიართა ადმინისტრაცია სულ გავიდა ოლქიდან. რუმინიის ჯარის მთავარ-სარდლის ბრძანებით აიკრძალა მაგარი სასმელების გაყიდვა.

პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობის განკარგულებით გერმანულმა ბანკმა—„დოიტშე აზიატიშე ბანკმა"—უნდა მოახდინოს ჩინეთში ყველა თავის განყოფილებების ლიკვიდაცია.

**ბოლშევიკების ცნობები.**

მოსკოვი. 9 იანვარი. ნაუენი. მთავრობის რადიო იუწყება, რომ ბერლინში ბრანდენბურგის კარების, დიდი ვოგზლების, ზოგიერთ ყაზარმების საპოლიციო სამმართველოს შენობის ხელში ჩასაგდებათ მთელი ღამის განმავლობაში ბრძოლამ უშედეგოთ ჩაიარა. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი დიდია. რკინის გზის და ტრამვაის მოძრაობა ჯერაც არ განახლებულა. სტუდენტები ებერტის და შეიდემანის განკარგულებაში გადავიდნენ. ბერლინი. შეიდემანის მთავრობამ მოწოდება გამოუშვა, სადაც მცხოვრებლებს დახმარებას სთხოვს სპარტაკელების დასაწყნარებლად. ნაუენი. მოლაპარაკება მთავრობასა და რევოლიუციონურ საბჭოს შორის განახლდა შვიდ იანვარს, ც. ა. კ. წევრების თანადასწრებით. იმ დღის მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. რევოლიუციონურ მუშათა მეთაურებმა მიუთითეს მთავრობას, რომ რკ. გზის მართველობის შენობა შპენბურგში იერიშით აიღო მთავრობის ჯარმა, მიუხედავათ სახალხო რწმუნებულების დაპირებისა, რომ შეიარაღებულ ძალას არ მიმართავენ. ლიონი. იუწყებიან, რომ მდგომარეობა ბერლინში გამოურკვეველია. სამშაბათს მთავრობის მომხრეებსა და სპარტაკელებს შორის ქუჩაში ბრძოლა გაგრძელდა. ბრაკდორფ რანცაუმ და სახალხო რწმუნებულთა საბჭომ გადასწყვიტა დროებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა შესწყვიტოს.

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარ. თფილისის კომიტეტის სასწრაფო სხდომა. ამ სხდომაზე უნდა გამოცხადდენ თფილისის კომიტეტის პროპაგანდისტებიც.

◆ კვირას, 12 იანვარს, საღამოს ხრულ 5 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა საქართველ. სოც. დემ. მუშ. პ. ც. კ., თფილისის კომ. და ყველა რაიონულ კოლექტივებისა.

◆ საქართველოს დელეგაციასთან ერთად ევროპაში გაემგზავრა სომხეთის და ადერბეიჯანის დელეგაციები: სომხის დელეგაციაში შედიან: აჰარონიანი, პაპაჯანოვი და ოგანჯანიანი. ადერბეიჯანისაში: თოფჩიბაშევი, ალიევი და გაჯინსკი. მოკავშირეებმა დელეგატებს ცალკე გემი დაუთმეს.

◆ მთიელთა დელეგაცია. დღეს თფილისში ჩამოვა მთიელთა დელეგაცია, რომელიც ევროპაში მიდის. დელეგაციაში შედიან: გაიდაროვი, ჩერმოევი და სხვანი.

◆ სპარსეთის კონსულმა ტაგი ხანმა საგარეო საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ 9 იანვრიდან ის არის დამცველი ოსმალეთის და ავსტრია-ჰუნგრეთის ქვეშევრდომებისა საქართველოს რესპუბლიკაში.

◆ გაძარცვა. 9 იანვარს, დღის 3 საათზე უცნობმა პირებმა გაძარცვეს თავის სახლის კარებში სექციონ-სასანიტარო განყოფილების კონტროლიორი პოლუმორდვინოვი. წაართვეს პორთფელი, საცა იყო 68,000 სახაზინო ფუ-

*) იხ. მისი თხზულება „Изученіе соціологіи" თავი 9 „Патріотическая точка зрѣнія" (გვ. 116).

# ამხანაგებო და მოქალაქენო!

**თფილისის მცხოვრებთა აღწერა დასრულდა. ვინც სიაში შეტანილი არ არის, თითონ უნდა მოიკითხოს საუბნო კომიტეტში და ჩააწერინოს თავი. მოქალაქენო, არ დაჰკარგოთ ხმა საქალაქო მომავალ არჩევნებში. მიდით და გაიგეთ საუბნო კომიტეტებში—ხართ შეტანილი სიაში თუ არა.**

ლი და საფულე, სადაც იყო 100 მ. საკუთარი ფულისა.

✦ **ქურდობა.** 9 იანვარს ღამით გატეხეს მურადოვის მაღაზია ნიკოლოზის ქუჩაზე № 74. წაიღეს ფული და საქონელი 11,000 მანეთისა.

✦ **რკინის გზის უფროსმა უბრძანა ყველა** სადგურების უფროსებს, რომ სასტიკად აკრძალონ მატარებლების სახურავებზე მგზავრობა. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

✦ **თხოვნა.** ვადგენ კრებულს, რომელშიაც შევლენ ყველა სამშობლოსათვის თავდადებულთა და გმირთა საგმირო საქმეები. უმორჩილესად ვსთხოვ ყველა რაზმების უფროსებს, გვარდიის შტაბის უფროსთ და კერძო პირებს მოგვაწოდონ ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელთაც ბრძოლის ველზე თავი დასდეს. ცნობებში საჭიროა: სახელი, მამის სახელი გვარი, სოფელი და რა საგმირო საქმე ჩაიდინა, საჭიროა ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც პატრონს უკანვე დაუბრუნდება. მისამართი: ოლღას ქ. № 53 ავ. აბესაძე.

✦ **გუმბრის სადგურის დანგრევა.** „მშაკს" ატყობინებენ, რომ მიმავალმა ოსმალთა ეშელონმა ააფეთქა გუმბრის სადგური.

✦ **საბავშო დილა-კონცერტი,** რომელიც უნდა გამართულიყო ქართულ მუსიკალურ საზოგადოების მიერ 8-ას გადაიდო და იქნება 12 ს, კვირა დილით ზუბალაშვილისეულ სახალხო სახლში ბავშვებთათვის: დაკვრა საკრავებზე, სიმღერა და ცოცხალი სურათები სიმღერით. ფასი სახალხოა. თეატრი იქნება გამთბარი.

✦ **ლექცია.** დღეს, 11 იანვარს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: ექ. ტურიაშვილისა „ქალთა ჰიგიენა".

✦ **განზრახული ამა წლის 23 იანვრის-**თვის საქართველოს რესპუბლიკის ბეითალთა საზოგადოების წევრთა ყრილობა გადაიდო სხვა დროისთვის. დროებითი გამგეობა ბეითალთა საზოგადოებისა მოკლე ხანში გამოაცხადებს ყრილობის მოწვევის დროს.

✦ **ბათუმის პარტიზანული პოლკის** მოკლული ოფიცრების და პარტიზანების ოჯახების სასარგებლოდ ორშაბათს, 13 იანვარს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში გაიმართება გრანდიოზული საღამო. საღამოს საინტერესოდ შედგენილი პროგრამა და მისი სიმპატიური მიზანი იმედია მრავლად მიიზიდავს საზოგადოებას.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება საქ. ს. დ. მ. პ. ყველა რაიონის ქალთა ორგანიზაციების და თბილისის ქალთა ბიუროს შეერთებული კრება.

— შაბათს, 11 იანვარს დანიშნული საზოგადო კრება ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის წევრთა შესდგება ორშაბათს, 13 დეკემბერს საღამოს 5 საათზე სახალხო სახლში.

— კვირას, 19 იანვარს დღის 12 საათზე ყოფილ ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია ქ. ზ. წ. ქ. გ. ს. რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება.

## ფოთი

დღიდან ოსმალეთის დედაქალაქის ოკუპაციისა შავ ზღვაში გასულა მოკავშირეთა სამასამდე სამხედრო გემი და ტრანსპორტი. გემების დიდი ნაწილი იმყოფება უკრაინის და რუმინიის ნაპირებთან.

ფოთის ყველა პროფესიონალური კავშირები გაერთიანდა ერთ მძლავრ ორგანიზაციაში შემდეგი სახელწოდებით: „ცენტრალური საბჭო ქ. ფოთის პროფესიონალურ კავშირებისა", რომლის დამფუძნებელი კრება შესდგა 5 იანვარს (ს. დ. ს.)

## მუშათა შორის

ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთა ადგილებისა და ჯამაგირების შენახვის შესახებ შრომის სამინისტრომ შემდეგი კანონი შეიმუშავა:

1) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვეული იქნებიან სამხედრო სამსახურში მობილიზაციით, ან მოხალისეებათ წავლენ, ენახებათ თავიანთი ადგილები იმ დაწესებულებებში და წარმოებაში, სადაც ისინი ჯარში მიღებამდე მსახურებდნენ.

2) ჯარში გაწვეული მუშები და მოსამსახურეები ჯარში სამსახურის დროს იღებენ თავიანთ დამქირავებლებიდან იმ ჯამაგირის ნახევარს, რომელიც ეძლეოდა მათ ჯარში გაწვევამდე.

**შენიშვნა.** თუ ეს გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულობით ან განსაკუთრებული პირობით, ამ მუხლში აღნიშნულ ჯარისკაცებს უფლება აქვთ მოსთხოვონ დამქირავებლებს ნახევარზე მეტი ჯამაგირიც.

3) ამა კანონის პირველ მუხლში აღნიშნული ჯამაგირის ნახევარი არ ეძლევათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მიიღებიან ჯარში, როგორც მოხალისეები.

**შენიშვნა.** მოხალისე ჯარისკაცებს უფლება აქვთ მოსთხოვონ თავის დამქირავებლებს მთელი ჯამაგირი, ან მისი ნაწილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულობით, ან საგანგებო პირობით.

4) ჯარში გაწვეულთა ადგილებზე მუშები და მოსამსახურეები მიიღებიან დროებით, სანამ მათი წინამოადგილენი სამსახურიდან დაბრუნდებიან. ამ შემთხვევაში სალიკვიდაციო ფულის მიცემა სავალდებულო არ არის.

5) ჯარში გაწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისას დამქირავებლები უბრუნებენ ძველ ადგილებს წინანდელი ჯამაგირებით და ყველა იმ შიმატებებით, რომლებიც მიიღეს ადგილებზე დარჩენილებმა.

6) ჯარში გაწვეული მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან დაუბრუნდნენ თავის ძველ ადგილებს ერთი თვის განმავლობაში, დღიდან განთავისუფლებისა სამხედრო სამსახურიდან. თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი არ გამოცხადდებიან, დამქირავებლებს უფლება აქვთ უარი უთხრან მათ უკან მიღებაზე.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ ჯარიდან განთავისუფლებულებმა გადააცილეს ამ მუხლში აღნიშნულ ვადას, ავადმყოფობის ან ტყვედ ყოფნის გამო, დამქირავებელი ვალდებულია დაუბრუნოს მას ადგილი.

7) იმ შემთხვევაში, თუ დაიხურა დაწესებულება ან წარმოება, რომელშიაც მსახურობდნენ ჯარში გაწვეული მუშები და მოსამსახურეები, ან უარს ეტყვიან უკანასკნელთ სამსახურზე შტატების შემცირების გამო, დამქირავებლები ვალდებულნი არიან გაუსწორონ მათ ანგარიში იმ ნორმებით, რა ნორმებითაც გაისტუმრებენ სხვა მუშებსა და მოსამსახურეებს.

**შენიშვნა:** სამხედრო სამსახურში გატარებული დრო არ მიიღება მხედველობაში სალიკვიდაციო ჯილდოს გამოანგარიშების დროს.

8) თუ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს დაკარგა მუშამ ან მოსამსახურემ შრომის უნარი, ან მოკვდა, დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას ან მის ოჯახს სალიკვიდაციო ჯილდო იმ ნორმებით, რა ნორმებიც ძალაში იქნებიან დაშავებულის ან გარდაცვალებულის სამხედრო მოსამსახურეთა სიიდან ამორიცხვის დროს.

9) ჯარში მიღებულ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც არ სურთ შეინარჩუნონ ძველი ადგილები, დამქირავებლებმა უნდა გაუსწორონ ანგარიში იმ სალიკვიდაციო ნორმების მიხედვით, რომლებიც მიღებულია ამ დაწესებულებაში ან წარმოებაში კანონის ან შრომის ხელშეკრულების ძალით.

10) ოჯახებს ჯარში გაწვეულ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებიც იღებენ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ჯამაგირებს, ან ეძლევა შესაფერი დახმარება სახელმწიფოსაგან, დამქირავებელნი ვალდებულნი არიან აცნობონ სათანადო სამხედრო უფროსს რამდენი მუშა და მოსამსახურე იღებს ამ კანონით ჯამაგირს და რამდენს.

11) ვინც ამ კანონს დაარღვევს, დაისჯილ იქნებიან ჯარიმით სამას მანეთამდე, ან საპყრობილეში ჩასმით ერთიდან ექვს თვემდე.

## საქართველოს პარლამენტი

**4 იანვრის სხდომა.**

(დასასრული)

**ირაკლი წერეთელი.** აი, ბატონებო, როდესაც თქვენ ლაპარაკობთ გეგეჭკორის პოლიტიკაზე, ჟორდანიას პოლიტიკაზე, ნუ დაგავიწყდებათ რომ, როგორც გეგეჭკორის ისე ჟორდანიას პოლიტიკა გამომხატველი იყო ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობის პოლიტიკისა და ეს პოლიტიკა მუდამ იცავდა კეთილ განზრახვას, კეთილ განწყობილებას ყველა სახელმწიფოს მიმართ. ქართველი ხალხის ეს პოლიტიკა იყო პოლიტიკა ნეიტრალური. პოლიტიკა ყველა აგრესიობის წინააღმდეგ მიმართული, ყოველივე ისეთ ნაბიჯის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ხალხს და მის ბედს შეუკავშირებდა მსოფლიო ომის ამა თუ იმ ცვალებადობას. ეს იყო პოლიტიკა დემოკრატიულ პრინციპისა და მთელმა ჩვენმა ისტორიამ დაამტკიცა, რომ სწორი, პრინციპიალური დემოკრატიული პოლიტიკა ამასთანავე არის საუკეთესო რეალური ინტერესის ანგარიშების გამწევი. ეს არის ერთად ერთი ფარი, რომელსაც შეუძლიან პატარა ხალხის დაფარვა და შენახვა. ბატონებო, ამ ომის მსვლელობაშიაც, რომ დაგენახათ თქვენი პოლიტიკის სიყალბე და სისწორე იმ პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი დემოკრატია აწარმოებს, მე შევჩერდები იმ მოსაზრებებზე, რომელიც აქ გამოითქვა. თქვენ აქ გაიგონეთ, თუ როგორ სცდებოდა ჩვენი მთავრობა, როდესაც სცდილობდა მორიგებას სომხეთთან და ამის წინადადებას აძლევდა. მოასწავებდა ეს ჩვენ მხედრულ დასუსტებას თუ არა, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ, როდესაც სამხედრო ძალებზე დადგა საკითხი. მაგრამ მაინც თუ დემოკრატიულ პრინციპს თქვენ არაფერი გწამთ, ის მაინც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ეს პოლიტიკა იყო ერთად ერთი, რომელიც მოსულ გარეშე ძალას შეარიგებდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ არსებობასთან. თქვენ ამის შესახებ უკვე მთავრობის თავმჯდომარემ საერთო სურათი მოგცათ და მე შევჩერდები იმ ტრაღიკულ მომენტზე, რომელსაც განსაკუთრებული ხაზი გაუსვა ბ-ნმა კედიამ.

ბ-ნი კედია ბრძანებდა: როდესაც თქვენ 25 დეკემბერს ინგლისელებთან შეთანხმებით ერევნის მთავრობას გაუგზავნეთ წინადადება სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ, ჩვენი ბედი, რომ ის მაშინ თქვენს პირობებს არ დასთანხმდა. მაგრამ ის, რომ დასთანხმებულიყო ხომ დავიღუპებოდით. დავღუპავდა თუ არა, სომხეთის ჯარების იმ პირობებში ძველ საზღვრებამდის უკან დახევა, მე ამას ახლა არ შევეხები, მაგრამ მე თქვენ გარწმუნებთ, ჩვენ რომ ამ პირობებზე არ დავთანხმებულიყავით და ჩვენ ინგლისისთვის უარი გვეთქვა, მაშინ ბ-ნი ჯამალიანი ამ პირობებზე უეჭველია დასთანხმდებოდა და იმის მაგივრათ, რომ ჩვენ და ინგლისელები წინააღმდეგ ჯამალიანისა და მისი მთავრობისა ვყოფილიყავით, შეიქმნებოდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ბ-ნი ჯამალიანი და ინგლისელები საქართველოს წინააღმდეგ იქნებოდნენ. დიახ, ბატონებო, მთავრობამ ანგარიში გაუწია მდგომარეობას, არ უნდოდა მიეყვანა ინგლისელები ულტიმატუმამდის, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა გარეშე ძალასთან შეთანხმება, თუ რამდენათ ხელსაყრელი იყო იმ პირობებში შეთანხმების მიღწევა, ამის ანგარიშის გაწევა შესძლო მთავრობამ იმიტომ, რომ თითონ ბუნებრივად, ძალა-დაუტანებლივ, შეთანხმების მომხრე იყო, მისთვის შეთანხმება, რომელიც უზრუნველ ყოფდა ჩვენ მინიმუმს—დახევა სომხებისა თავის საზღვრებზე, ფსიხოლოგიურად სავსებით მისაღები იყო. მხოლოდ ჯამალიანმა უარჰყო იმიტომ, რომ ის საზოგადოთ მომხრე იყო არა შეთანხმებისა, არამედ ომისა. მაგრამ ჩვენ მთავრობას, რომ ინგლისისთვის უარი ეთქვა მთელ იმ წინადადებაზე, რომელიც იმათ მოგვცეს, მე თქვენ გეკითხებით, ბატონებო, რომ ჩვენგან ინგლისელები უარით ან პროტესტით წასულიყვნენ, რასაც ბ-ნი კედია დიდათ მოიწონებდა და მისულიყვნენ ჯამალიანთან და მას გაეგო ეს, ჩვენი განხეთქილება ინგლისელებთან ამ საკითხზე, როგორ ფიქრობთ, ის პროტესტს გამოაცხადებდა ინგლისელების წინადადებაზე? ხომ შეკრავდა ამ შემთხვევაში ჩვენ წინააღმდეგ ინგლისელების და სომხების კავშირს? არა ბ-ნო კედია? გრძნობთ თუ არა, რა საშინელ ავანტიურაში გადააგდებდნენ ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ბედს მთავრობის წარმომადგენლები. (ხმა: რათ გყავდათ აქ ჯამალიანი?) ბატონებო, რაც შეეხება ბ-ნ ჯამალიანის თფილისში ყოფნას, ამის შესახებ ბევრი ილაპარაკეს ბ-ნმა ვეშაპელმა და სხვა ორატორებმა. მაგრამ, მე მოგახსენებთ, არც ერთი საუკეთესოთ მოწყობილი მთავრობა, როგორიც ინგლისის მთავრობა არის მაგ., არ არის იმისაგან დაზღვეული, რომ ასეთ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. ვთქვათ, როდესაც გერმანიას გამოუცხადა ინგლისმა ომი, ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა გერმანიის წარმომადგენელს, დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. ვთქვათ, ამ გერმანიის წარმომადგენელს ეს წესიერი მოთხოვნილება შეესრულებინა, ქაღალდები ჩაებარებინა—წასულიყო სადმე—რარი ღლით შეეძლო განა ამის წინასწარ გათვალისწინება, რომელიმე მთავრობას და ან ვისი მარცხია უფრო ამგვარი ქცევა? ბატონებო, დიპლომატიურ ურთიერთობაში ყოველივე მხარე მოქმედობს ისე, როგორც დიპლომატიურ წესებს შეეფერება. ბ. ვეშაპელი რომ მთავრობაში ყოფილიყო, ის, რასაკვირველია, იმის მაგივრათ, რომ ჯამალიანისთვის ეთქვა—აი თქვენი ქაღალდები, მიბრძანდით აქედან, წინდაწინ მიუხვდებოდა ამგვარ მუხანათობას და ქაღალდების ჩაბარების მაგივრათ, დააპატიმრებდა ბ. ჯამალიანს პირველ დღესვე. მე იმაში დარწმუნებული ვარ, ჯამალიანი ვერ დაემალებოდა, ეს ხიფათი არ მოუვიდოდა ვეშაპელს. მაგრამ მეორე ხიფათი მოუვიდოდა: ომს, შეიძლება, ეს გამჭრიახი პოლიტიკოსი წააგებდა. აი ამაშია თავი და თავი. ჩვენმა მთავრობამ მართალია ეს უცნაური მარცხი ვერ აიცდინა, ჯამალიანი ვერ მოიშორა თფილისიდან, მაგრამ გარწმუნებთ, ბატონებო, ჯამალიანის დაჭერა მეორე ხარისხოვანი საკითხი არის ომის მოგებასთან შედარებით. ომის მსვლელობას რაც შეეხება, ჩვენმა მთავრობამ, ეს თქვენც აღიარეთ, სამხედრო შეტაკებაში დაამსხვრია სომხეთის მთავრობა (გ. ვეშაპელი: მთავრობამ დაამსხვრია?) მე მგონია, ბატონებო, რომ მთავრობა, რომელმაც ქვეყანა გამარჯვებამდე მიიყვანა, მონაწილე არის ამ გამარჯვების, ხოლო, რაც შეეხება ამ ჩვენ მთავრობას, იგი დემოკრატიულ წრეებიდან ამოსულია და იმას წილი უდევს არა მარტო დღევანდელ გამარჯვებაში, იმას წილი უდევს მთელი ქართველი ხალხის გადარჩენაში თანამედროვე მსოფლიო კრიზისის განსაცდელიდან. იმიტომ რომ მთელი უკანასკნელი 34 წლის განმავლობაში, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენი ხალხი გამოვიდა, სწორედ ეს მიმართულება და ეს პირები, რომელიც მთავრობაში დგანან, სათავეში ედგნენ ჩვენი ხალხის გამოღვიძებას, აღორძინებას, გადარჩენას და მით შესაძლებელი გახადეს ჩვენი ხალხის გადარჩენა ახლანდელ განსაცდელისაგან. თქვენ, ბატონებო, ბრძანებდით: ჩვენ გვინდა დამოუკიდებლობა, აი იმათ, ჩვენზე ბრძანებდით, არ სურდათ და ხომ ხედავთ დღეს დამოუკიდებელი საქართველო არსებობსო (ხმა: თქვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყავით) დიახ, ბატონებო, იყო დრო, როდესაც ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვიყავით დამოუკიდებლობისა. მაგრამ, რას ნიშნავდა ეს და რა შედეგები მოჰყვა ამას? ეს ნიშნავდა მას და ის შედეგები მოჰყვა ჩვენს ასეთ პოლიტიკას, რომ ქართველი ხალხი საუკეთესოთ გამაგრდა, ეროვნულად საუკეთესოდ აღორძინდა, მხოლოდ აი იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, თქვენ ახლა ამბობთ იმ ხანაზე. უარყოფა დამოუკიდებლობისა, არის უარყოფა ხალხის ინტერესებისა. მაშინ, რას ეტყვით თქვენ იმ ჩვენ წინაპრებს რომელნიც იძულებულნი იყვნენ, რომ გარდაეცათ ჩვენი ქვეყანა და შეერთებულიყვნენ რუსეთს. თქვენ, ბატონებო, დიდი პატივით იხსენიებთ იმათ (ხმა: ყოველთვის არა!) მაგრამ ესე არ უნდა დადგეს საკითხი: ვის უნდოდა დამოუკიდებლობა და ვის არ უნდოდა. სურვილზე არ არის აშენებული პოლიტიკა. კითხვა უნდა დაისვას ასე; დამოუკიდებლობა, რომელიც არსებობს—ვინ შექმნა და ვინ იცავს,—თქვენ ნაციონალისტები თუ სოციალდემოკრატები? (ხმა: თქვენ არაფერ შუაში ხართ, თქვენ წინააღმდეგი იყავით). ბატონებო, ჩვენ ისე წინააღმდეგი ვიყავით, რომ, როდესაც გახდა საჭირო ხალხისთვის დამოუკიდებლობის დაარსება, საუკეთესოთ ჩვენ შევუწყეთ მას ხელი და დავიცავით დამოუკიდებლობა. ბატონებო, იყვნენ მომხრენი დამოუკიდებლობისა არა მარტო ჩვენში, რუსეთის სხვადასხვა კუთხეებშიაც. მაგრამ მე გარწმუნებთ ვერცერთმა ნაციონალისტურმა პარტიამ, ვერც ფინეთში, ვერც უკრაინაში ვერც, რომელიმე სხვა კუთხეში, ყოფილ რუსეთის იმპერიისა ვერ შეადგინა ისეთი მკვიდრი საფუძველი თავის ხალხის ეროვნულ ცხოვრებისა, როგორც აი აქ სოციალისტებმა (ტაში). (მაჭავარიანი: ქართველი ერის უნარი). ბატონებო, რაც უნდა ბუნებრივი უნარი ჰქონდეს ხალხს, თუ კი მას 30 წლის განმავლობაში პატრონობს და მის სრულ ნდობით აღჭურვილია ისეთი მიმართულება, რომელიც ძირს უთხრის მის ეროვნულ არსებობას, ნუ თუ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ეს უნარს დააკარგვინებდა ეროვნულ არსებობის დაცვაში? ბატონებო, ადგილიდან, რასაკვირველია, ყველაფრის წამოძახება ადვილია, მაგრამ ამას თქვენ ისტორიის ფურცლებიდან ვერ ამორეცხთ, რომ ბევრი უფრო მოჭირნახული ჰყავდა საქართველოს და ბევრი ვითომ გულგრილი მის ეროვნულ არსებობისა, მაგრამ, როდესაც დადგა განსაცდელი, როცა დადგა ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ეს მოჭირნახულენი დარჩნენ დამოუკიდებელ საქართველოს უპასუხისმგებლო ოპოზიციათ, ისინი კი, ვისაც გულგრილობას სწამებდნენ ოდესღაც, ისინი გახდნენ დედაბოძათ, სწორეთ ეროვნულ-დამოუკიდებელ სახელმწიფოსი (მაჩაბელი: არ ისმის) ამას თქვენ ისტორიის ფურცლებიდან ვერ ამორეცხთ. ბატონებო, მე მოგახსენეთ, ამ ომის დროს ჩვენ დიპლომატიას წინ ჰქონდა ერთი ამოცანა, ერთი მიზანი ჩაეშალა. მთავრობის განზრახვა ჩვენს წინააღმდეგ არა მარტო საკუთარი ძალები, არამედ გარედან მოსული ძალების მომართვისა. ამის მოხერხება შეეძლოთ სომხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაგვსახავდნენ ჩვენ ავანტიურისტულ სახელმწიფოთ, რომელიც მტრულ კამპანიას აწარმოებდა ამ გარეშე ძალების მტრებთან ერთად მათ წინააღმდეგი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ავანტიურისტულ სახელმწიფოთ, რომელიც დღეს შეუძლებლათ ჰყოფს წესიერებას ამიერ-კავკასიაში. მე ვამბობ, მთელი ჩვენი წარსული პოლიტიკის გამოაშკარავებით, რომლის პასუხისმგებლები აი აქ არიან, ჩვენ შევსძელით მათი განზრახვების ჩაშლა და მათ ცილისწამებას დაუპირდაპირეთ შიშველი ფაქტები. მხოლოდ. რაც შეეხება მათ განზრახვებს, ჩვენი ქვეყანა დაესახათ ისეთ ელემენტათ, რომლის დამოუკიდებელი არსებობა ნიშნავს ერთა შორის შუღლს და მუდმივ შეტაკებას, აი ამის ჩაშლაც შესძლო იმ პოლიტიკამ, რომელსაც ამდენი ხანი აკრიტიკებენ აქ. და თუ ჩვენი მთავრობის გულწრფელი მისწრაფება, რომ თავიდანვე შეთანხმებით გაეთავებინა საქმე, უნაყოფო დარჩა, თუ ამ მხრივ, შეთანხმების მისწრაფებაში და იმედებში გადაამეტა ჩვენმა მთავრობამ, ასეთი გადამეტება ბრალათ დააწვა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არა ჩვენს ქვეყანას. დიახ, ჩვენი მხრით იყო უკანასკნელ წუთამდის მოწადინეობა შეთანხმების, და თვით ომის დროს, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის წარმომადგენელნი და დემოკრატია აღელვებული იყო არა ნაკლებ, ვიდრე თქვენ, ბატონებო, ჩვენ შეძლებით დავგემორჩილებინა ჩვენი გრძნობა ჩვენი გონებისთვის და შორს მჭვრეტელობისთვის, და ვიცოდით, რომ შეთანხმება იმ პირობებით, რომელიც უზრუნველ ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას, საუკეთესო საშუალება იყო ამ დამოუკიდებლობის განმტკიცებისა. და, როდესაც ჩვენ მოგვიყვანეს გარეშე ძალა იმ განზრახვით, რომ ჩვენ დავესახეთ მშვიდობიანობის დამრღვევლად, როდესაც იქიდან შუამავლობის წინადადება მივიღეთ, ჩვენ იმის მაგივრად, რომ გვეპასუხნა ისე, როგორც ბ. კედიამ ბრძანა,—აბა მოგვაშვირეთ იარაღი და მაშინ დაგემორჩილებითო,—ასეთ პასუხის მაგივრად ჩვენ წარმოუდგინეთ ისეთი საბუთი, რომლის ძალით აღვნიშნეთ მინიმუმი ჩვენი მოთხოვნილებისა... (ხმაურობა) რის დათმობა არ შეგვეძლიან, ჩვენ წარმოუდგინეთ ისეთი საბუთები, და გარეშე ძალებმა სწორედ დაამტკიცეს, რომ მშვიდობიანობის მომხრე არიან, როდესაც სამართლიანად სცნეს მინიმუმი, რომელიც ჩვენმა მთავრობამ მიიღო. (ხმები: მინიმუმი?) დიახ, მინიმუმი იყო ისეთი, რომ სომხის ჯარს უნდა დაეხია ძველ საზღვრებზე. ამით ჩვენ იმ მიზანს ვისახავდით, რომ თვით სომხის ჯარს დაენახა, რომ სისხლი ტყუილ უბრალოდ აღვრეინეს, რომ იმ მცხოვრებლებს, რომლებიც ააჯანყეს და ჯარის შესევით აატირებს, დაენახათ, რომ ეს ავანტიურა იყო და სიყალბე. ეს მინიმუმი მოითხოვდა, რომ თავის საზღვრებზე დაეხიათ, რომ ეს შესრულებულ ყოფილიყო. (ხმა: მაქსიმუმი?) მაქსიმუმი ის იყო, დაუფლება ჩვენი ჯარის მიერ იმ საზღვრებისა, რომელიც ომამდინ იყო, მაგრამ ამ უკანასკნელ მოთხოვნილებას ჩვენ თუ ვიცავდით, არა მიტომ, რომ დაგვემკვიდრებინა ყველას დაუკითხავად ეს საზღვრები. ესეთი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს ბ. ვეშაპელს და ბ. კედიას, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენი ჯარების შეტევით საბოლოოდ ჩვენ საზღვრებზედ საკითხი გადაწყდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ამ საზღვრების დაჭერის შემდეგაც ჩვენ მოგვიხდებოდა შეთანხმებით ან არბიტრაჟით საკითხის გადაწყვეტა, რომ ეს კითხვა იქ გადაწყდებოდა, ევროპაში. მაგრამ ჩვენ არ გვსურდა დარჩენა სომხის ჯარისა, რადგანაც ეს სალდოდელს აუშლიდა ერევნის მთავრობას და საშუალებას მისცემდა ახალ ავანტიურას, ახალ შემოტევას. ეს მინიმუმი, ეს მთავარი მოთხოვნილება ინგლისელებისაგან მიღებული იქმნა. და ამიტომ როგორც დამარცხებული შეიქმნა ერევნის მთავრობა მხედრულ ძალთა შეტაკების დროს, ისე მათი მთავარი დიპლომატიური განზრახვა, გამოეყენებინათ ჩვენს წინააღმდეგ უცხო ძალა, დამსხვრეული იქნა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ მთავრობას სწორ პრინციპზე აქვს აგებული დიპლომატია, ის გულწრფელად აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელიც შეეფერება არა მარტო ჩვენი ქვეყნის და დემოკრატიის ინტერესებს, არამედ აგრეთვე ყოველ კულტურულ ძალების ინტერესებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შემოდიან. აი ასეთი არის მდგომარეობა. თუ ჩვენი მოწინააღმდეგენი გულწრფელად არიან მონდომილნი გაუწიონ ანგარიში მდგომარეობას და დააფასონ ეს მდგომარეობა საქართველოს ხალხის ინტერესის თვალსაზრისით, ისინი იძულებული იქნებიან აღიარონ, რომ არსებულ პირობებში, არსებულ განწყობილების მიხედვით უფრო ხელსაყრელი გამოსავალი არ შეიძლებოდა

ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი დემოკრატიისთვის. (ხმა: სამწუხაროდ) დიახ მოქალაქენო, სამწუხაროდ, მე საერთოდ დღევანდელ მდგომარეობას არ ვსთვლი ისეთ სამოთხედ, რომლის უმჯობესი სასურველი არ იყოს მაგრამ, მე თქვენ გარწმუნებთ, ყოველი ნაბიჯი, უფრო შორს გადადგმული, იქნებოდა ღალატი იმ პრინციპებისა, რომელზედაც მთელი წარსული ჩვენი პოლიტიკა იყო აგებული, იქნებოდა დამარცხება ჩვენი და გამარჯვება ერევნის ავანტიურისტებისა. თქვენ ამბობთ, რომ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა უსაყვედურა მთავრობას, რატომ შეაჩერეთ თქვენ ომიო, თქვენ ამბობთ, რომ ბღელვება იყო საზოგადოების ფართო წრეებში. მე სრულიად გეთანხმებით თქვენ, მაგრამ ერთი რამე გავიწყდებათ თქვენ. მთავრობა იმიტომ არის დაყენებული სამმართველო ადგილზე, იმიტომ სდგას მაღლა, იმიტომ აქვს დიდი უფლება მინიჭებული, რომ დიდი პასუხისმგებლობა მოეთხოვება. დიახ, რომ მთავრობას არ გაეწია არაფრისთვის ანგარიში, ხალხისთვის ეთქვა, მე დავინახე ხალხის წყურვილი ომისა, და ამიტომ ვაგრძელებ ომსო,—მხოლოდ ამას ის მოჰყვებოდა შედეგათ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენს წინააღმდეგ მთელ ქვეყანას აამოძრავებდნენ. ბოლოს და ბოლოს ერთი გამარჯვების შემდეგ ჩვენ დავმარცხდებოდით სასტიკათ და შეიძლება შერყეულიყო მთელი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. აი მაშინ ეს ჯარი, ეს სახალხო გვარდია, ეს საზოგადოების წრეები ეტყოდნენ ჩვენ მთავრობას; თქვენ ეს მდგომარეობა უნდა დაგენახათ და მაგის და მიხედვით უნდა გემოქმედათო. ამას სწერდა სწორეთ სახალხო გვარდიის შტაბი: ის გამოსთქვამდა თავის გრძნობას, მაგრამ უმატებდა: „ჩვენ ვემორჩილებით მთავრობასო". რატომ ისინი, რომელნიც ზინვორების მაუზერებისაგან სიკვდილს არ შეუშინდნენ, რატომ ემორჩილებოდნენ მთავრობას? შიშით? არა, იმათ იცოდნენ, რომ სახელმწიფოს თავი უნდა ჰქონდეს, და ეს თავი ყველა პერსპექტივებს და ყველა პირობებთან გაცნობილი უნდა იყოს და ამ პირობების მიხედვით უნდა საქვეყნო პოლიტიკას აწარმოებდეს და რადგანაც წარსულში მრავალჯერ დარწმუნდა ჩვენი ხალხი, რომ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებისაგან ნაკარნახევი ნაბიჯები, რომ შესრულებულიყო, არსებობა აღარ იქნებოდა ჩვენი ქვეყნისა, რადგანაც ხალხმა კარგათ იცის, რომ მთელ წარსულში, არსებულ პირობების მიხედვით სწორეთ გატარებული იყო ცხოვრებაში დემოკრატიის პრინციპები და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, ამიტომ შტაბი სახალხო გვარდიისა იწერებოდა, გვწყინს, მაგრამ ვემორჩილებით, რადგანაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები ამას მოითხოვსო. აი ეს სამოქალაქო გრძნობა, რომელიც სახალხო გვარდიის შტაბს აქვს, უნდა გავრცელდეს მთელ ჩვენ საზოგადოებაში, და იმ ჯგუფში, რომელიც ქვეყნის გაჭირვების დროს, საერთო ცეცხლის დროს, მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ მათი პატარა პარტიული გაყინული ხელები ხალხის გულცეცხლით, ბ. ვეშაპელო, მოითბოს. ის პარტია, რომელიც თავის-თავს სახელმწიფო პარტიას უწოდებს, რომ გამსჭვალულიყო ამ სახელმწიფოებრივ სამოქალაქო გრძნობით, რომლითაც არის გამსჭვალული ჩვენი სახალხო გვარდია და ჩვენი მშრომელი ხალხი, მაშინ დადგებოდა ის დრო, როდესაც ჩვენ ვეტყოდით მტერს და მოყვარეს, რომ ქართველი ხალხი მიუხედავათ კლასებისა, როგორც ერთი, შემოსულ მტერს ებრძოდა და ებრძვის. მაგრამ ჩვენ ვხედავთ სამწუხაროთ სულ სხვა რამეს. აქ დღეს გამოსვლას არ ვიცი რა ფსიხოლოგიური სარჩული ედვა. შეიძლება გულწრფელად მოქმედობდნენ ის ბატონები, რომლებიც აქ გამობრძანდნენ, რომლებიც ლაპარაკობენ მთავრობის შეცდომებზე. მაგრამ ბატონებო, ერთი კი ცხადია, იმათი ფსიხოლოგია, იმათი გულწრფელობა აიხსნება იმით, რომ თავის პატარა ჯგუფში, პარტიაში უზენაეს მიზანს ხედავენ, რომელსაც უმორჩილებენ თავის ქვეყნის ბედს (ს. კედია: სცდებით) არა ვსცდებით. ბატონებო, ასეთი მდგომარეობა იყო, ერთხელ შემოდიოდა უცხო ძალა და ჩვენ გვიკარნახებდნენ იქიდან ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ერთიანათ უერთებდა ამ უცხო ძალას ჩვენს ქვეყანას შესაკავშირებლათ და შესათანხმებლათ, (ვეშაპელი: გამოსაყენებლად!) ბატონებო თქვენ იმათი გამოყენება გსურდათ იმ წესით, რომელიც, საუბედუროდ, ჩვენ პატარა ქვეყანას არაფერს დაუტოვებდა. დიდი თქვენი სიმპატიები ამ ძალისადმი, ნაკლები თქვენი სითბოლე მათ მიმართ, შეიძლება სუყველას ისე აეხსნა, რომ მაინც გარეშე ძალის რიდი და სიყვარული აქვს და აბრმავებს ეროვნულ-დემოკრატებს ისე, რომ თავის ქვეყნის ბედს არ დასდევენ. ეხლა შემოდის მეორე გარეშე ძალა და აქედან გვიკარნახებენ სულ სხვა პოლიტიკას, მეორე პოლიტიკას: მთლათ ნუ მიაქცევთ ყურადღებას, (ხმა: ვინ სთქვა?) აქ ამბობენ სანამ ხიშტებით არ დაგადგებიან ნუ გაუწევთ ანგარიშსო. ბ. კედიამ იმაშა ნახა შეცდომა ჩვენი მთავრობისა, რომ ის დაჰყაბულდა პირობებს, სანამ ულტიმატუმით არ მიმართეს, პასუხის მგებლობა მაშინ შეგიმცირდებოდათ, თუ იტყოდით, რომ ზარბაზნებით მოვიდნენ და მხოლოდ მაშინ დასთანხმდით მათ პირობაზეო. შეიძლება ამაში ბევრმა გულადობა დაინახოს ისე, როგორც წინანდელ მათ ქცევაში ლაჩრობა. აქ კი არც გულადობაში, არც სილაჩრეში საქმე არ არის. თქვენ ყველაფერს იმ თვალსაზრისით უყურებთ, გამოადგება თქვენ პარტიას, გააძლიერებს თქვენ პარტიის გავლენას ესა თუ ის პოლიტიკა თუ არა. ის კავშირი, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობდით, მაშინ შეიძლება არაფერს არ დასტოვებდა ჩვენ დამოუკიდებლობისაგან, მაგრამ გააძლიერებდა თქვენს ჯგუფს. და ის ავანტიურა, რომელსაც დღეს თქვენ გვიკარნახებთ, ჩვენ ხალხს არავითარ ბედს არ უქადის. როგორც მთავრობის თავმჯდომარემ გითხრათ, ეს იქნებოდა დამარცხება ჩვენი ქვეყნის დღეს და მომავალში მუდმივი შუღლი და სისხლის ღვრა. და მე კიდევ დავუმატებ—ჩვენი ქვეყანა რომ დამარცხებულიყო, ეს იქნებოდა ერთად-ერთი საფეხური, რის საშუალებით და რის შემწეობითაც თქვენ ამ მწვერვალზე გამოხვიდოდით (გ. ვეშაპელი: ინგლისი რა შუაშია?). ინგლისი იმ შუაშია, რომ ის სწყვეტს ბედ-იღბალს არა მარტო პატარა ერებისას, არამედ თითქმის მთელი ქვეყნისას და ის ჯგუფი, ის პარტია, რომელიც არ გაუწევს ანგარიშს ამ გარეშე პირობებს, უსასტიკეს დანაშაულობას ჩაიდენს თავის ხალხის წინაშე. თუ კონკრეტიულად გნებავთ აგიხსნათ ინგლისი რა შუაშია, მოგახსენებთ: ინგლისი იმ შუაშია, რომ ჯამალის დაუმტკიცებინა, რომ ჩვენს ქვეყანას მაინც და მაინც ომი უნდა, მიუხედავათ იმისა, რომ მთავარი ჩვენი მოთხოვნილება მიღებულ იქმნა. ეს რომ დაემტკიცებანათ, ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებდა სომხებთან ერთად ეს გარეშე მოსული ძალა. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ის ფაქტი, რომ ჩვენ შეიარაღებული ძალით დავამარცხეთ სომხეთის მთავრობა, ის ფაქტი, რომ მათი განზრახვა ჩვენს წინააღმდეგ აემუშავებინათ გარეშე ძალა, ჩვენ ჩავშალეთ. ეს არის ჩვენი დიდი გამარჯვება, და თუ თქვენ მაინც ეჭვი შეგაქვთ იმაში, დამერცხებულია თუ გამარჯვებული ჩვენი ქვეყანა ამ შეტაკებაში, ამ შემთხვევაში მესამე ფაქტს გაუწიეთ ანგარიში. თქვენ ხმას, როგორც აქამდის არ ჰქონია გზა ხალხის გულისკენ, ისე დღესაც არ ექნება იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა კარგა დაინახა, რომ სწორედ პოლიტიკა დემოკრატიისა მარტო დალია არა მარტო თავის პრინციპებით, არამედ ერთად ერთია, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ პატარა ქვეყნის არსებობას ათას გაჭირვებისაგან და საბედისწერო ავანტიურასაგან. ჩვენ რომ დავმდგარიყავით იმ პოზიციაზე ისე, რომ მიეხწიათ დაშნაკელებს თავისი მიზნისთვის, ისინი არა მარტო სამუდამოდ გამეფდებოდნენ სომხურ ხალხში, არამედ ჩვენ ერშიაც მათი პოლიტიკა გამეფდებოდა. აქ დღეს ხუმრობით იყო ნათქვამი, ჩვენ ვმიჯელობთ დაშნაკელების ელჩების თანდასწრებითო; მაგრამ მათ რომ მიეღწიათ თავის მიზნისთვის, თავის სისხლს და ხორცს გაამეფებდნენ საქართველოში და ჩვენ სახელმწიფოს სათავეში მოიქცნოდნენ ჩვენი ნამდვილი ქართველი დაშნაკელები. და თუ რა შედეგი მოჰყვებოდა საქართველოში და სომხეთში დაშნაკელების გაბატონებას. ამას თქვენ კარგათ დააფასებთ, როდესაც აქ ილაპარაკებდნენ ბ რევაზ გაბაშვილი და სხვები. (მხურვალე ტაში მარცხნიდან),

## ჩვენი ჯარისათვის

ნადია, პავლიკა და მაშა ღუშპაძეებმა და გრიშა და ელენე ავალიანებმა მიერ გამართულ საბავშვო წარმოდგენის შემოსავალი 281 მანეთი და 2 კაპეიკა შეიწირეს დაჭრილ ჯარისკაცების სასარგებლოთ. ფული მიიღო რედაქციამ და გადაეცემა დანიშნულებისამებრ.

**ოზურგეთი** 9 იანვარი. გურიაში თავდაცვის დღე ბრწყინვალეთ ჩატარდა. ყოველი მხრიდან მოდის შემოწირულება სანოვაგით და ფულით. თავს უყრიან ოზურგეთში, საიდანაც შემოწირულებას წაიღებს ფრონტზე განსაკუთრებული დელეგაცია. (ს. დ. ს.).

## პროვინცია

**თელავი.** მობილიზაციის გამოცხადებისათანავე მთელი მხარე ფეხზე დადგა. ყველა ახალგაზრდა მიეშურებოდა თელავისკენ სამშობლოს წინაშე მოვალეობის მოსახდელათ. მათი სიმღერა და საერთო ყიჟინა სოფლებთ გამოძახილს იწვევს და ყველას ბრძოლის გუნებაზე აყენებს. ჯარისკაცები მიეშურებიან ყაზარმებისაკენ. ხანში შესულები—სახალხო გვარდიის შტაბისკენ—ჩასაწერათ. გვარდიის შტაბმა ერთი წყება უკვე გაგზავნა ბრძოლის ველზე, მეორე რიგი ემზადება წასასვლელათ. დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც ჰკრეფავს შემოწირულებას; როგორც თელავში, ისე სოფლებში აგროვებენ პურს, სიმინდს, ქერს, ხახვს, ლობიოს, წინდას და სხვა. ს. ენისელში გაიმართა 27 დეკემბერს საერთო კრება 4 სოფლისა, მრავალმა ხალხმა ერთხმათ დაადგინა მთავრობას დახმარება აღმოუჩინონ. თუ საჭირო იქნება, ყველანი წავალთ საბრძოლველათო, იძახის ყველა. სომხებზე აღელვებულია ხალხი, მაგრამ თავს იკავებენ. მთავრობა გასცემს მათ ღირსეულ პასუხსო. სასიამოვნო სურათს წარმოადგენს ბანკის დარბაზში შეკრებილი მომუშავე ქალების მუშაობა: ზოგი სჩეჩავს, ზოგი ართავს და ქსოვს წინდებს და ხელთათმანებს მეომრებისთვის. შვიდას წყვილამდე უკვე გაუგზავნეს. კომიტეტი ჩქარა მიაწვდის სანოვაგეს ნივთებს, და ფულს ჯარისა და გვარდიის შტაბებს.

ხოხო მაჭავარიანი.

## ს.-დემ. პარტიაში

**თფილისი.** 5 იანვარს შესდგა სამურთალოახალშენის მცხოვრებთა ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ჩ. თხილაძე, მდივნათ მ. ტუღუში. დღის წესრიგის შემუშავებამდე პარტიის წევრებთა, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიღებულ იქმნა სამი პარტიის წევრათ, მ. გიგაური, ს. ლებანიძე და ვ. ლებანიძე; შემუშავებულ იქნა დღის შემდეგი წესრიგი: 1) მცირე კოლექტივის დაარსება, 2) საარჩევნო სამზადისი და 3) მიმდინარე მომენტი.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რ. ჩიხლაძე. ის ეხება პარტიულ მუშაობას და არკვევს, თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიულ მუშაობის გაძლიერებაში მცირე კოლექტივის არსებობას და მოუწოდებს დამსწრეთ გაჩაღონ მუშაობა ახლად დაარსებულ ორგანიზაციაში და მით ხელი შეუწყონ საერთო ორგანიზაციულ მუშაობას. შემდეგ დრო ტყუილათ რომ არ დაიკარგოს, ის იძლევა წინადადებას, რომ კრება გადავიდეს პირდაპირ არჩევნებზე და ეხლავე აირჩიონ ისეთი პირნი, რომელნიც ენერგიულათ მოკიდებენ ხელს და პირნათლათ შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

კრება იღებს წინადადებას და საჭიროთ აღიარებს, რომ მცირე კოლექტივი შესდგებოდეს 5 წევრთაგან, ხოლო მათ კანდიდატებათ არჩეულ იქნას სამი კაცი, რის შემდეგ იწყება ფარული არჩევნები. არჩევნების შედეგი ასეთია: მცირე კოლექტივში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: შ. გოგლიძე, ჩ. თხილაძე, ელ. გიორგობიანი-მიხეილიძისა, ამხ. კირკაშიძე და ბოგანაშვილი, ხოლო კანდიდატებათ: ამხ. შენგელაია, ნ. ბაქრაძე, ბიბინაშვილი და ლებანიძე. მეორე კითხვის შესახებ კრება ირჩევს 15 წევრთა მიერ შეერთებულ კომისიას, რომელშიაც შევლენ მეორე კოლექტივი მთელი თავისი შემადგენლობით კანდიდატებითურთ შემდეგი ამხანაგების დამატებით: მადრეკელიძე, ჯავახიშვილი, თოხაძე, კასრაძე, მაისურაძე და შ. ჩიტოშვილი. უკანასკნელ საკითხზე ამხ. რ. ჩიხლაძე მოკლეთ აცნობს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას და იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა მთავრობამ.

ხ—კი.

## ცნობები

სომხებმა რომ ომი დაიწყეს, პირველ რიგში ბრძოლის ასპარეზზე იყო გაწვეული თელავისიდან სერაფიონ ლეკიშვილი, რომელიც არაფერ ცნობას არ იძლევა. ვთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს ჭრებალოში ი. ლეკიშვილს.

— ბორჩალოს მაზრაში მსახურობდა მელიტონ გიორგის ძე პაიჭაძე მილიციონერად. ხუთი თვე გადის მას შემდეგ, მისგან ცნობა არ მიგვიღია. თუ ვინმემ რამე იცის ხსენებული პაიჭაძის შესახებ, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ჩოხატაური, ანდრია გრიგოლის ძე ანთიძეს.


## განცხადებანი

გაიხსნილია
**კერძო სამკურნალო**
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი
**კ. ტ. ლორთქიფანიძე**
(ბაქოდან)
მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.
ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

კბილის საექიმო კაბინეტები
**თიდორა საყვარელის ძე ცხოვრებისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

**მთ. ექიმი რ. ბ. შიუკაშ-ხაზაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ყოფ. ... მედიკურ-ქირურგიულ აკადემიისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

**ექიმი ლ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—$1\frac{1}{2}$ საათამდე, საღამოს 5—6 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

**ექიმი გ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. გ. ლევენშტეინისა.**
რენტგენო-ფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა. სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჰაჰების ავადმყოფობისა. ელექტრო-მკურნალობა და მეხანო-ტერაპია. მიღება დილის 10 ნახ.—1 საათ. და საღ. 4—7 საათ. მისამართი: კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3.

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულების, ბავშვთა, სხივებით და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
**კეკელია**
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეტი
მედიცინის დოქტორის
**გ. მერაბოვისა**
(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა. მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჰებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
**საჭურვლებს უფასოდ.**

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმი დონხინისა**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

# სახელმწიფო თეატრი
ოპერა
შაბათს, 11 იანვარს საბანეევას, მოროზოვას, ზალიპსკის, ნიკოლსკის, ინაშვილის მონაწილეობით
**ფაუსტი**
კვირას, 12 იანვარს

| დილით | საღამოს |
|---|---|
| **ევგენი ონეგინი** | **ზაზა** |

7 იანვარს აღებული დილისა და საღამოს ბილეთები გამოდგება 12 იანვარის დილისა და საღამოს სპექტაკლისათვის

# სახალხო სახლი
სახ. სახ. არს. ქართ. წარ. მმართველი წრე.
კვირას, 12 იანვარს, 1919 წ. წარმოდგენილი იქნება
**ნომერი ოცდა ერთი ჯვრით**
**№ 21 +**
დრამა 4 მოქ. ია ეკალაძისა.
მონაწილეობენ: ქ-ნი ა. არჯევანიძე, თ. გოგოლაშვილი, ნ. ნინონი, ვ. მარგველაშვილი, ბ.ბ. ნ. გოცირიძე, ა. თავდგირიძე, ი რომანიშვილი, ი. მინდიაშვილი, ბ. მამაჯანოვი, გ. მაჩხანელი, დ. ბაქრაძე, ალ. შანშიაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, გ. რატიშვილი, გ. ფირიაშვილი, ე. თალაკვაძე.
რეჟისორი ივ. ბარველი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
შემდეგი წარმოდგენა 16 იანვარს. (2—1)

სავაჭრო სახლის
**„შუამავლის"**
გამგეობა (წესდება დამტკიცებულია 1917 წ. ნოემბრის 18 ს), ამით აუწყებს სახელმწიფო, საბანკო, სავაჭრო სამრეწველო და საზოგადო დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომ სავაჭრო სახლმა „შუამავალმა" **მოქმედება დაიწყო მიმდინარე თვის 8-დან.**

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი"-ს გამგეობა აცხადებს, რომ
**საზოგადო კრება წევრებისა**
დანიშნულია ქ. თელავში 1919 წ. 26 იანვარს. კრების საგანია: 1) განხილვა-დამტკიცება 1917-1918 წ. ანგარიშისა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, 2) 1918 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. 3) წევრთა სიის გადასინჯვა. 4) მიმდინარე საკითხები და 5) არჩევნები: თანახმად ახალი წესდებისა საბჭოს ხუთის და სარევიზიო კომისიის სამი წევრის და ნაცვლათ გამგეობის თავმჯდომარე ესტატე მაჭავარიანის და გამგეობის წევრი გიორგი მაჭავარიანისა. ეს კრება ნაცვლათ იმ კრების, რომელიც 6 დეკემბერს იყო დანიშნული და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**თბილისის სამაზრო საერობო გამგეობა** ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრაში ასარჩევია
**მომრიგებელი მოსამართლენი**
შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1) თბილისის უბანი—ბინა ქ. თბილისი; 2) მანგლისის უბანი ბინა მანგლისი; 3) აღბულახის უბანი—ბინა აღბულახში (ბელი კლუჩში); 4) ყარაიაზის უბანი—ბინა სოფ. ყარაიაზი; 5) საგარეჯოს უბანი—ბინა სოფ. საგარეჯოში და 6) სართიჭალის უბანი—ბინა სართიჭალა ან მარტყოფი. უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა ჯამაგირი 650. მან თვეში, ამას გარდა საკანცელარიო ხარჯის და ბინის გათბობა—განათებაში 415 მან. თვეში. ვისაც სურს არჩეულ იქნეს მოსამართლედ განცხადება. დოკუმენტები და curriculum uitae უნდა შემოიტანოს ერობის სახლში: რუსთაველის ქუჩა № 6 (გოლოვინის პროსპექტი) სადაც გერმანიის კომენდატურა იდგა გამგობა. (2—1)


მსწრაფელ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაზეთის შესახვევი. № 1.